ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 2/119

ქ. თბილისი - 25 – მაისი, 2012 წელი

სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, მდებარე ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ, №12 (შემდგომში "შემსყიდველი"), სააგენტოს დირექტორის, ქეთევან ბოჭორიშვილის სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, შპს "DGM Media" (ამერიკული დი ჯი ემ მედიას წარმომადგენლობა საქართველოში) მდებარე ქ. თბილისი, ხეთაგუროვის № 6 (შემდგომში "მიმწოდებელი"), მისი დირექტორის ლალი წიწუაშვილის სახით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამარტივებული შესყიდვის გზით, ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ, მიმწოდებელი ვალდებულია 2012 წლის 29 მაისამდე შემსყიდველს დაუმზადოს 1 ცალი საინფორმაციო პლაკატი/პოლიპოსტერი სადგამით (პოლიპოსტერ 0.80X2.05, ფართი 1.64, სადგამი 0.8X2.05), 28-30 მაისს ქ. რიგაში (ლატვია) დაგეგმილი ქართულ-ლიტვური ბიზნეს ფორუმისთვის.

1.2. ხელშეკრულების საგნის CPV კოდია: 352611000 (საინფორმაციო პანელები).

1.3. ხელშეკრულების გამარტივებული წესით წარმოების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის კანონის 10[1] მუხლის 3-ე პუნქტის დ ქვეპუნქტი და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისი განკარგულება # 942

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 215.00 (ორას თხუთმეტი ლარი) ლარს საბიუჯეტო გადასახადის გათვალისწინებით.

2.2 ანგარიშსწორება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია 2012 წლის 29 მაისამდე შემსყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულების 1.1. მუხლით გათვალისწინებული საქონელი

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიღებას ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

4.2. საქონელი ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მომსახურების გაწევიდან(ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) 20 სამუშაო დღის ვადაში.

5.2. სახელმწიფოსთან საგადასახადო და სხვა სახის ანგარიშსწორებას აწარმოებს მიმწოდებელი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.1.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს შეთანხმებული ხარისხის და ოდენობის საქონელი;

6.1.2. განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდოს შემსყიდველის ინტერესებს;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიიღოს მიწოდებული საქონელი, თუ მიწოდებული საქონელი შეესაბამება შეთანხმებულ ოდენობას და ხარისხს;

6.2.2. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის საფასური.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.1% ოდენობით. თავის მხრივ ანგარიშსწორების ვადების დარღვევისას, შემსყიდველი ყოველ გადაცილებულ დღეზე, მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, უხდის მიმწოდებელს ასანაზღაურებელი თანხის 0.1%-ს.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარის (მხარეთა) მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა არ გამოიწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას, თუ აღნიშნული დარღვევა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედების შედეგად.

8.2. ფორს-მაჟორულია გარემოებები, რომლებიც წარმოადგენენ მხარეთათვის გადაულახავ, მათგან დამოუკიდებელ პირობებს (არ არიან გამოწვეული მხარეთა განზრახ ან გაუფრთხილებელი, არასწორი მოქმედებების შედეგად) და რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

14.1.5. თუ წარმოიშვა ხელშეკრულების მე-14-ე მუხლით გათვალისწინებული მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების დროულ შესრულებას.

14.1.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

14.2. იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 50%-ს, ორივე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

14.3. ამ ხელშეკრულების 14.1.2, 14.1.3, 14.1.4. და 14.1.5. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შემსყიდველს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ხელშეკრულების შეწყვეტისა და ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
სსიპ „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“	შპს "DGM Media"
ს/კ №204990082	ს/კ 204978596
ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №12	**ქ. თბილისი, ხეთაგუროვის 6**
საქართველოს ეროვნული ბანკი	სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი 220101222	ბ.კ. 220101821
ა/ა №200122900	ანგ. # GE47 TB07 0000 0000 467781./GEL
დირექტორი	დირექტორი
/ქეთევან ბოჭორიშვილი/	/ლევანი წიწუაშვილი /